ლიდერბორდი - დასაჩუქრდი კოკა-კოლას აქციებით

წესები და პირობები

ლიდერბორდის წესები და პირობები

2026 წლის 16 თებერვლიდან - 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით, Coca-Cola Rewards Georgia-ს აპლიკაციაში მომხმარებლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ "კოკა-კოლასა" და "თიბისი კაპიტალის" ერთობლივ ლიდერბორდში, რომლის გამარჯვებულებიც The Coca-Cola Company-ს აქციებით დასაჩუქრდებიან.
ლიდერბორდის ტოპ 5 მონაწილე ყოველ 2 კვირაში გამოვლინდება.

მონაწილეობის მისაღებად, მომხმარებელმა:

- უნდა გახსნას საინვესტიციო ანგარიში თიბისის მობაილბანკის პლატფორმაზე
- Coca-Cola Rewards Georgia-ს აპლიკაციაში შეიყვანოს კოკა-კოლას ყვითელ თავსახურზე მოთავსებული უნიკალური კოდი;
- კოდის შეყვანის შემდეგ, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, გააააქტიუროს სიარულის რეჟიმი, დაიწყოს სიარული და 30 წუთის განმავლობაში დააგროვოს რაც შეიძლება მეტი ნაბიჯი;
- გასათვალისწინებელია, რომ ერთდროულად რამდენიმე კოდის შეყვანის შემთხვევაში, სიარულისთვის დროის ათვლა დაიწყება ბოლო კოდის შეყვანიდან;
- ტოპ 5 მომხმარებელი, რომელიც ყველაზე მეტ ნაბიჯს დააგროვებს, გახდება პრიზების მფლობელი;
- ერთ მომხმარებელს შეუძლია 2-კვირიანი ლიდერბორდების გამარჯვებული გახდეს მხოლოდ ერთხელ.

ვინ იმარჯვებს ლიდერბორდში

გამარჯვებული ის 20 მომხმარებელია, ვინც ყველაზე მეტ უნიკალურ კოდს შეიყვანს.
ლიდერბორდის ტოპ 5 მონაწილე ყოველ 2 კვირაში გამოვლინდება.

რა პრიზებს იღებენ გამარჯვებულები:

- I ადგილი - The Coca-Cola Company-ს 1000$-ის ღირებულების აქციები
- II ადგილი - The Coca-Cola Company-ს 600$-ის ღირებულების აქციები
- III ადგილი - The Coca-Cola Company-ს 400$-ის ღირებულების აქციები
- IV ადგილი - The Coca-Cola Company-ს 300$-ის ღირებულების აქციები
- V ადგილი - The Coca-Cola Company-ს 200$-ის ღირებულების აქციები

აღნიშნულ პრიზებს გამარჯვებულები მიიღებენ თიბისის მობაილბანკში, მომხმარებლის საინვესტიციო ანგარიშზე, The Coca-Cola Company-ის აქციების სახით.

როგორ მივიღო პრიზი?

პრიზის მისაღებად საჭიროა:

- გქონდეს თიბისის მობაილბანკის საინვესტიციო ანგარიში
- იყო სრულწლოვანი ფიზიკური პირი
- იყო საქართველოს რეზიდენტი
- არ იყო აშშ-ს გადასახადის გადამხდელი ან/და მწვანე ბარათის მფლობელი
- თუ გამარჯვებული ამ ან/და თიბისი კაპიტალის მიერ შიდა პოლიტიკით განსაზღვრულ სხვა პირობებს ვერ აკმაყოფილებს, პრიზს იღებს შემდეგი მონაწილე რიგითობით.

როგორ ხდება პრიზის დარიცხვა?

- თიბისი კაპიტალი ამოწმებს გამარჯვებულის მონაცემებს.
- აქციები დაირიცხება თიბისი მობაილბანკის საინვესტიციო ანგარიშზე 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც თიბისი კაპიტალს სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მიერ გადაეცემა გამარჯვებულების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი მასალები ან/და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და თიბისი კაპიტალის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და თიბისი კაპიტალის შიდა პროცედურების/სტანდარტების შესაბამისად დადგინდება გამარჯვებულის შესაბამისობა;
- თუ გამარჯვებულს თიბისი მობაილბანკში საინვესტიციო ანგარიში არ აქვს, შეუძლია გახსნას და ამის შემდეგ მიიღებს პრიზს

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- მომხმარებლისათვის ცნობილია, რომ ლიდერბორდის ფარგლებში პრიზად გაიცემა მხოლოდ თიბისი კაპიტალის მიერ თიბისი მობაილბანკში არსებულ მომხმარებლის საინვესტიციო ანგარიშზე დარიცხვის სახით The Coca-Cola Company-ის აქციები, შესაბამისად, თიბისი კაპიტალს და სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ არ წარმოეშობა მომხმარებლის მიმართ არანაირი სახის პასუხისმგებლობა თუკი მომხმარებელი ვერ დააკმაყოფილებს პრიზის მიღებისათვის წინამდებარე წესებსა და პირობებში განსაზღვრულ წინაპირობებს.
- პრიზი გაიცემა მხოლოდ აქციების სახით, ნაღდი ფულის სახით არ გაიცემა;
- აქციების საფასური განისაზღვრება აქციების შესყიდვის დღეს ამერიკის სავაჭრო ბირჟაზე არსებული ფასების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აქციების შეძენის დრო განისაზღვრება თიბისი კაპიტალის მიერ დამოუკიდებლად.
- აქციების გაყიდვა შესაძლებელია აშშ-ს ბაზრის სამუშაო საათებში;
- თანხის გატანა საინვესტიციო ანგარიშიდან ხდება საკომისიოს გარეშე;
- ლიდერბორდში მონაწილეობისას მომხმარებლების პერსონალური მონაცემების გადაცემა თიბისი კაპიტალისთვის აუცილებელია;
- გარდა წინამდებარე წესებსა და პირობებში მოცემული დებულებებისა, თიბისი კაპიტალი იტოვებს, უფლებას, რომ თავად და დამოუკიდებლად გადაამოწმოს ს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასგან“ მისთვის მიწოდებული გამარჯვებულების სია და უარი განაცხადოს კონკრეტული პირისათვის აქციების გადაცემაზე, რა შემთხვევაშიც იგი მოქმედებს საკუთარი დისკრეციის ფარგლებში და არ წარუდგენს სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ან/და მომხმარებლებს უარის თქმის საფუძველს ან/და დასაბუთებას. აღნიშნულ შემთხვევაში სს “კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია” განუმარტავს გამარჯვებულს, რომ მისთვის შესაბამისი ოდენობის პრიზის გადაცემა ვერ ხდება, რადგან არ/ვერ აკმაყოფილებს თიბისი კაპიტალის მიერ აქციების მიღებისათვის ან/და საინვესტიციო ანგარიშის გახსნისათვის განსაზღვრულ წინაპირობებს და შესაბამისად ვერ მიიღებს პრიზს, რა შემთხვევაშიც მომხმარებელს თიბისი კაპიტალისა და სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ წინაშე პრეტენზია ვერ ექნება;
- ლიდერბორდის ჩატარებასა და ორგანიზებაზე სრულად პასუხისმგებელია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“.

მოქმედების ვადა

16 თებერვლიდან — 12 აპრილის ჩათვლით